ოქმი:**ო63. 6324234001**
თარიღი:**21/08/2024**

სამტრედიის მუნიციპალიტეტის V მოწვევის საკრებულოს

საფინანსო - საბიუჯეტო საკითხთა და შრომის, ჯანმრთელობის დაცვისა და

სოციალურ საკითხთა გაერთიანებულ კომისიათა

რიგგარეშე სხდომის

ო ქ მ ი N12

ქ. სამტრედია 19 აგვისტო, 2024 წელი.

მიმდინარე წლის 19 აგვისტოს სამტრედიის მუნიციპალიტეტის V მოწვევის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარის, მერაბ უღრელიძის თავმჯდომარეობით ჩატარდა საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა და შრომის, ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიათა გაერთიანებული რიგგარეშე სხდომა.

სხდომას ესწრებოდნენ: მერაბ უღრელიძე, გოჩა არველაძე, ჯონი ახობაძე, დავით ჯანელიძე, ირაკლი მელაშვილი, ბექა თევზაძე, აკაკი მინაშვილი, ქეთევან კუტალაძე, გივი ჯულაყიძე, ვაჟა სტურუა, გიორგი ლეჟავა, ლიზა კრავეიშვილი, ტარიელ დვალიშვილი, კობა ძიძიგური, ლაშა გრიგოლია, ნათია პაპავა, ლელა ჩორგოლაშვილი.

ასევე სხდომას ესწრებოდა:

1. მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის საბიუჯეტო დაგეგმვისა და საფინანსო ზედამხედველობის განყოფილების უფროსი - მედეა ლეჟავა.
2. ა.(ა).ი.პ. „ სამტრედიის მუნიციპალიტეტის ეროსი მანჯგალაძის სახელობის კულტურის ცენტრის დირექტორი - ვეფხია ნადირაძე, ბუღალტერი - ენძელა ტკვაცირია.
3. ა.(ა).ი.პ. სამტრედიის მუნიციპალიტეტის კომუნალური გაერთიანება“-ს ბუღალტერი - ლამზირა თევზაძე.
4. ა.(ა).ი.პ. სამტრედიის მუნიციპალიტეტის გამწვანებისა და კეთილმოწყობის გაერთიანება“-ს ბუღალტერი - რუსუდან ნიკურაძე.
5. ა.(ა).ი.პ. ,,საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის“-ს ბუღალტერი თეიმურაზ გეგუჩაძე.

6. ა.(ა).ი.პ. სამტრედიის მუნიციპალიტეტის N2 სამუსიკო სკოლის ბუღალტერი - დარეჯან ლომსაძე.

7. ა.(ა).ი.პ. ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლი“-ს ხელმძღვანელი - ტატიანა გოგუაძე.

8. ა.(ა).ი.პ. სამტრედიის მუნიციპალიტეტის სამხატვრო სკოლა -გალერეას დირექტორი - ნინო ნინუა, ბუღალტერი - ხათუნა ნიკოლეიშვილი.

9. ა.(ა).ი.პ. სამტრედიის მუნიციპალიტეტის საბიბლიოთეკო გაერთიანებას დირექტორის მ/შ - იზაბელა ლეგაშვილი, ბუღალტერი - ლელა ნიკურაძე.

10. ა.(ა).ი.პ. სამტრედიის მუნიციპალიტეტის ხელბურთელთა კლუბი „სამტრედია“ - ს დირექტორი - გიორგი ხელისუფალი.

11. ა.(ა).ი.პ. „რაგბის კლუბი ფენიქსი“-ს დირექტორი - გურამ ხუჭუა.

12. სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის უფროსი ლევან ახობაძე.

დღის წესრიგი :

1. ,,არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, სამტრედიის მუნიციპალიტეტის ეროსი მანჯგალაძის სახელობის კულტურის ცენტრის 2024 წლის ხარჯის დამტკიცების შესახებ“, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 25 დეკემბრის Nგ-63.632335918 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/მომხსენებელი: კომისიის თავმჯდომარე: მერაბ უღრელიძე/

2. ,,არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის სამტრედიის ცენტრი“-ს 2024 წლის პროგრამისა და პროგრამის განხორციელების ხარჯის დამტკიცების შესახებ“, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 25 დეკემბრის Nგ.63-632335916 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/მომხსენებელი: კომისიის თავმჯდომარე: მერაბ უღრელიძე/

3. სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის 2024 წლის მიზნობრივი სოციალური პროგრამის დამტკიცების შესახებ“’ 2023 წლის 25 დეკემბრის Nგ.63-632335917 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/მომხსენებელი: კომისიის თავმჯდომარე: მერაბ უღრელიძე/

4. ,,არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, სამტრედიის მუნიციპალიტეტის კომუნალური გაერთიანების“ 2024 წლის ხარჯის დამტკიცების შესახებ“, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 25 დეკემბრის Nგ.63-63233592 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/მომხსენებელი: კომისიის თავმჯდომარე: მერაბ უღრელიძე/

5. ,,არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, სამტრედიის მუნიციპალიტეტის გამწვანება და კეთილმოწყობის გაერთიანების“ 2024 წლის ხარჯის დამტკიცების შესახებ“, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 25 დეკემბრის Nგ.63-63233593 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/მომხსენებელი: კომისიის თავმჯდომარე: მერაბ უღრელიძე/

6. ,,არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, სამტრედიის მუნიციპალიტეტის N2 სამუსიკო სკოლის 2024 წლის ხარჯის დამტკიცების

სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 25 დეკემბრის №63-63233595 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/მომხსენებელი: კომისიის თავმჯდომარე: მერაბ უღრელიძე/

7. ,,არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლი"-ს 2024 წლის შემოსავლისა და ხარჯების დამტკიცების შესახებ", სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 25 დეკემბრის №63-632335913 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/მომხსენებელი: კომისიის თავმჯდომარე: მერაბ უღრელიძე/

8. ,,არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, სამტრედიის მუნიციპალიტეტის სამხატვრო სკოლა-გალერეა"-ს 2024 წლის შემოსავლისა და ხარჯების დამტკიცების შესახებ", სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 25 დეკემბრის №63-632335911 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/მომხსენებელი: კომისიის თავმჯდომარე: მერაბ უღრელიძე/

9. ,,არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის საბიბლიოთეკო გაერთიანება"_ს 2024 წლის ხარჯების დამტკიცების შესახებ", სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 25 დეკემბრის №63-632335912 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/მომხსენებელი: კომისიის თავმჯდომარე: მერაბ უღრელიძე/

10. ,,არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, ,,საფრენბურთო კლუბი - ჯიკო"-ს 2024 წლის ხარჯების დამტკიცების შესახებ", სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 25 დეკემბრის №63-632335919 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/მომხსენებელი: კომისიის თავმჯდომარე: მერაბ უღრელიძე/

11. ,,არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, ,, რაგბის კლუბი ფენიქსი"_ს 2024 წლის პროგრამისა და მისი განხორციელების ხარჯის დამტკიცების შესახებ", სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 25 დეკემბრის №63-632335923 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/მომხსენებელი: კომისიის თავმჯდომარე: მერაბ უღრელიძე/

12. ,,არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, ,, ხელბურთელთა კლუბი სამტრედია"_ს 2024 წლის პროგრამისა და მისი განხორციელების ხარჯის დამტკიცების შესახებ", სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 25 დეკემბრის №63-632335921 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/მომხსენებელი: კომისიის თავმჯდომარე: მერაბ უღრელიძე/

13. სამტრედიის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 25 დეკემბრის N23 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/მომხსენებელი: კომისიის თავმჯდომარე: მერაბ უღრელიძე/

14. სხვადასხვა.

კომისიის თავმჯდომარის წინადადებით, კენჭისყრის შედეგად საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა და შრომის, ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა გაერთიანებული კომისიის წევრთა (17) ხმით კენჭი უყარეს დღის წესრიგს.

კენჭისყრის შედეგად, საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა და შრომის, ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა გაერთიანებული კომისიის წევრთა (17) ხმით, დღის წესრიგი იქნა დამტკიცებული წარმოდგენილი სახით.

დღის წესრიგის I საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა, მერაბ უღრელიძემ, კომისიის წევრებს გააცნო საკითხი ,,არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, სამტრედიის მუნიციპალიტეტის ეროსი მანჯგალაძის სახელობის კულტურის ცენტრის 2024 წლის ხარჯის დამტკიცების შესახებ“, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 25 დეკემბრის №g-63.632335918 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ა.(ა).ი.პ. „სამტრედიის მუნიციპალიტეტის ეროსი მანჯგალაძის სახელობის კულტურის ცენტრი ითხოვს 2023 წლის 25 დეკემბრის # g-63.632335918 განკარგულებით დამტკიცებულ 2024 წლის საკუთარი შემოსავლების გაზრდას 10.5 ათ.ლარით, შესაბამისად ხარჯებში საქონელი და მომსახურების გაზრდას 10.5 ათ.ლარით (კერძოდ, შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა ანაზღაურება 7.5 ათ.ლარით; რბილი ინვენტარი, პირად ჰიგიენასთან დაკავშირებული ხარჯი 1.0 ათ.ლარით; კულტურულ-სპორტული ღონისძიებების ხარჯი 2.0 ათ.ლარი).

ზემოთ აღნიშნული გამოწვეულია საქართველოს კულტურისა და სპორტის სამინისტროს ფინანსური ხელშეწყობით სპექტაკლი-ნინია სადღობელაშვილი „სიყვარულის ეროსი“ დადგმის განხორციელებისათვის.

ასევე ითხოვს საკუთარი შემოსავლების გეგმის გაზრდას 5.0 ათ.ლარით, შესაბამისად ხარჯების ნაწილში საქონელი და მომსახურების მუხლის გაზრდას 5.0 ათ.ლარით (ტრანსპორტის დაქირავების ხარჯი).

კომისიის წევრებმა იმსჯელეს ზემოაღნიშნულზე.

პროექტის ირგვლივ შენიშვნები არ ყოფილა.

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა (10) ხმით მიიღეს გადაწყვეტილება, საკითხი შევიდეს ბიუროს დღის წესრიგში განსახილველად.

დღის წესრიგის II საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა, მერაბ უღრელიძემ, კომისიის წევრებს გააცნო საკითხი ,,არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის სამტრედიის ცენტრი“-ს 2024 წლის პროგრამისა და პროგრამის განხორციელების ხარჯის დამტკიცების შესახებ“, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 25 დეკემბრის №g.63-632335916 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ა.(ა).ი.პ. საზოგადოებრივი ჯანდაცვის სამტრედიის ცენტრი ითხოვს 2023 წლის 25 დეკემბრის g.63-632335916 განკარგულებით დამტკიცებულ 2024 წლის ბიუჯეტის გეგმაში ცვლილებას. როგორც ცნობილია „საზოგადოებრივი ჯანდაცვის სამტრედიის ცენტრის“-თვის იგეგმება ახალი შენობის მშენებლობა, რისთვისაც ითხოვს დელეგირებული უფლებამოსილების განხორციელებისათვის გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერის შემცირებას 60.0 ათ.ლარით, მ.შ. არაფინანსური აქტივების მუხლის შემცირებას 59.3 ათ.ლარით, ხოლო საქონელი და მომსახურების გეგმის 0.7 ათ.ლარით და აღნიშნული თანხა მიემართოს დანიშნულებისამებრ.

კომისიის წევრებმა იმსჯელეს ზემოაღნიშნულზე.

პროექტის ირგვლივ შენიშვნები არ ყოფილა.

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის წევრთა (17) ხმით მიიღეს გადაწყვეტილება, საკითხი შევიდეს ბიუროს დღის წესრიგში განსახილველად.

დღის წესრიგის III საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა, მერაბ უღრელიძემ, კომისიის წევრებს გააცნო საკითხი სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის 2024 წლის მიზნობრივი სოციალური პროგრამის დამტკიცების შესახებ"' 2023 წლის 25 დეკემბრის Nგ.63-632335917 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა სამსახურის უფროსი ითხოვს ,,მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის 2024 წლის მიზნობრივი სოციალური პროგრამა და სოციალური დახმარების გაცემის წესი'' და ,,2024 წლის მიზნობრივი სოციალური პროგრამის ღონისძიებათა ხარჯები" ცვლილებების შეტანას.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" 54-ე მუხლის პირველი ნაწილის „ე"- პუნქტის „ე.ე"- ქვეპუნქტის, საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 69-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-5 ნაწილებისა და „სამტრედიის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული ასიგნების საბიუჯეტო კლასიფიკაციის მუხლებსა და პროგრამულ კოდებს შორის გადანაწილების წესის დამტკიცების შესახებ" სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 14 დეკემბრის N43 დადგენილების შესაბამისად, სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერის Nბ62. 6224229001 16/08/2024 ბრძანებით დაზუსტდა „სამტრედიის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ", სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 25 დეკემბრის №23 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 15 ივლისის N16 დადგენილება, კერძოდ, შემცირდა 06 02 04 კოდი სოციალურად დაუცველი მოსახლეობისათვის ერთჯერადი ფინანსური დახმარებების საქონელი და მომსახურების გეგმა 7000 ლარით, სოციალური უზრუნველყოფის გეგმა - 91000 ლარით და შესაბამისად გაიზარდა 06 02 03 კოდი დედათა და ბავშვთა დახმარებების სოციალური უზრუნველყოფის გეგმა - 98000 ლარის ოდენობით.

შემცირდეს:

მუხლი 1. მოქალაქეთა სამედიცინო მომსახურება - -50 000 ლარით;

მუხლი 17. ერთჯერადი დახმარება განსაკუთრებულ შემთხვევაში -19 000 ლარით;

მუხლი 30. მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული მკვეთრად და მნიშვნელოვნად შეზღუდული შესაძლებლობის უსინათლო პირთათვის სპეციალური ტექნიკის შეძენა - 2 000 ლარით;

მუხლი 21. სამკერვალო საწარმო „გვირილა"-ში დასაქმებულ შშმ ქალების დახმარება ტრანსპორტირების კუთხით - 3 000 ლარით;

მუხლი 28, ახალდაქორწინებული ოჯახების წახალისება - 20 000 ლარით;

მუხლი 23. სოციალურად დაუცველი მოსახლეობის, ხანდაზმულების, მრავალშვილიანების, შშმპ ღონისძიებების ტრანსპორტირების ხარჯები - 4 000 ლარით; შესაბამისად გაიზარდოს: მუხლი 5. ახალშობილთა დახმარება - 11 000 ლარით; მუხლი 14. მრავალშვილიანი ოჯახების დახმარება 87 000 ლარით;

კომისიის წევრებმა იმსჯელეს ზემოაღნიშნულზე.

პროექტის ირგვლივ შენიშვნები არ ყოფილა.

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის წევრთა (17) ხმით მიიღეს გადაწყვეტილება, საკითხი შევიდეს ბიუროს დღის წესრიგში განსახილველად.

დღის წესრიგის IV საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა, მერაბ უღრელიძემ, კომისიის წევრებს გააცნო საკითხი ,,არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, სამტრედიის მუნიციპალიტეტის

კომუნალური გაერთიანების“ 2024 წლის ხარჯის დამტკიცების შესახებ“, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 25 დეკემბრის Nგ.63-63233592 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ა.(ა).ი.პ „ სამტრედიის მუნიციპალიტეტის კომუნალური გაერთიანება ითხოვს 2023 წლის 25 დეკემბრის # გ-63. 63233592 განკარგულებით დამტკიცებული 2024 წლის ბიუჯეტის სუბსიდიის გეგმის შემცირებას 19,0 ათ.ლარით (ბიუჯეტი განისაზღვრება 2290,4ათ. ლარით), შესაბამისად საქონელი და მომსახურეობის მუხლის შემცირებას 19,0 ათასი ლარით. აღნიშნული თანხით გათვალისწინებული იყო თამარ მეფის ქუჩიდან რიონის ქუჩამდე სარკინიგზო მაგისტრალის ქვემოთ გამავალი 150 მეტრი დახურული არხის დანალექისაგან გაწმენდა,რომელიც სპეციფიკურია თავისი სირთულით. ვერ მოიძებნა სპეციალისტი, რომელიც განახორციელებდა ზემოთ აღნიშნული არხის გაწმენდას.

კომისიის წევრებმა იმსჯელეს ზემოაღნიშნულზე.

კომისიის წევრი, გივი ჯულაყიძე არ ეთანხმება ზემოაღნიშნული თანხის შემცირებას.

პროექტის ირგვლივ სხვა შენიშვნები არ ყოფილა.

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის წევრთა (9ხმით)მომხრე, (1ხმით) წინააღმდეგი მიიღეს გადაწყვეტილება, საკითხი შევიდეს ბიუროს დღის წესრიგში განსახილველად.

დღის წესრიგის V საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა, მერაბ უღრელიძემ, კომისიის წევრებს გააცნო საკითხი ,,არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, სამტრედიის მუნიციპალიტეტის გამწვანება და კეთილმოწყობის გაერთიანების“ 2024 წლის ხარჯის დამტკიცების შესახებ“, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 25 დეკემბრის Nგ.63-63233593 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ა.(ა).ი.პ სამტრედიის მუნიციპალიტეტის გამწვანებისა და კეთილმოწყობის გაერთიანების დირექცია ითხოვს 2023 წლის 25 დეკემბრის #გ-63.63233593 განკარგულებით დამტკიცებულ 2024 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის სუბსიდიის გეგმის გაზრდას 24,5 ათ. ლარით. შესაბამისად, ხარჯებში საქონელი და მომსახურეობის მუხლის გაზრდას 24,5 ათ. ლარით,სუბსიდიის გეგმა განისაზღვრა 741.5 ათ. ლარით.

კომისიის წევრებმა იმსჯელეს ზემოაღნიშნულზე.

პროექტის ირგვლივ შენიშვნები არ ყოფილა.

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის წევრთა (10) ხმით მიიღეს გადაწყვეტილება, საკითხი შევიდეს ბიუროს დღის წესრიგში განსახილველად.

დღის წესრიგის VI საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა, მერაბ უღრელიძემ, კომისიის წევრებს გააცნო საკითხი ,,არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, სამტრედიის მუნიციპალიტეტის N2 სამუსიკო სკოლის 2024 წლის ხარჯის დამტკიცების სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 25 დეკემბრის Nგ.63-63233595 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ა.(ა).ი.პ. „ სამტრედიის მუნიციპალიტეტის # 2 სამუსიკო სკოლა“ ითხოვს 2023 წლის 25 დეკემბრის # გ-63.63233595 განკარგულებით დამტკიცებულ 2024 წლის ბიუჯეტში სუბსიდიის გეგმის გაზრდას 4.80 ათ.ლარით და 2024 წლის ბიუჯეტი სუბსიდიით განისაზღვროს 104.20 ათ.ლარით, კერძოდ საქონელი და მომსახურების მუხლის გაზრდას 2.90 ათ.ლარით, არაფინანსური აქტივი 1.90 ათ.ლარით. ბიუჯეტის ზრდა გამოიწვია

ახალ შენობაში გადასვლასთან დაკავშირებით საოფისე ინვენტარის შეძენის აუცილებლობამ.

კომისიის წევრებმა იმსჯელეს ზემოაღნიშნულზე.

პროექტის ირგვლივ შენიშვნები არ ყოფილა.

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის წევრთა (10) ხმით მიიღეს გადაწყვეტილება, საკითხი შევიდეს ბიუროს დღის წესრიგში განსახილველად.

დღის წესრიგის VII საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა, მერაბ უღრელიძემ, კომისიის წევრებს გააცნო საკითხი ,,არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლი"-ს 2024 წლის შემოსავლისა და ხარჯების დამტკიცების შესახებ", სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 25 დეკემბრის Nგ.63-632335913 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ა.(ა).ი.პ. ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის მოსწავლე - ახალგაზრდობის სახლი" ითხოვს 2023 წლის 25 დეკემბრის # გ-63.632335911 განკარგულებით დამტკიცებულ 2024 წლის სუბსიდიის გეგმის გაზრდას 8.0 ათ.ლარით, კერძოდ ახალ სასწავლო წელთან დაკავშირებით საქონელი და მომსახურეობის გაზრდას 8.0 ათ.ლარით კულტურული, სპორტული, საგანმანათლებლო და საგამოფენო ღონისძიებების ხარჯებისათვის.

კომისიის წევრებმა იმსჯელეს ზემოაღნიშნულზე.

პროექტის ირგვლივ შენიშვნები არ ყოფილა.

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის წევრთა (10) ხმით მიიღეს გადაწყვეტილება, საკითხი შევიდეს ბიუროს დღის წესრიგში განსახილველად.

დღის წესრიგის VIII საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა, მერაბ უღრელიძემ, კომისიის წევრებს გააცნო საკითხი ,,არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, სამტრედიის მუნიციპალიტეტის სამხატვრო სკოლა-გალერეა"-ს 2024 წლის შემოსავლისა და ხარჯების დამტკიცების შესახებ", სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 25 დეკემბრის Nგ.63-632335911 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ა.(ა).ი.პ. სამტრედიის მუნიციპალიტეტის სამხატვრო სკოლა -გალერეა ითხოვს მუხლობრივ ცვლილებას 2023 წლის 25 დეკემბრის # გ-63.632335913 განკარგულებით დამტკიცებულ 2024 წლის ბიუჯეტში, კერძოდ შრომის ანაზღაურების მუხლის 2.8 ათ.ლარით შემცირებას და შესაბამისად არაფინანსური აქტივების მუხლის გაზრდას 2.8 ათ.ლარით. წერილობით მომართვას არ ახლავს N4 და N6 დანართი და ექვემდებარება კორექტირებას.

კომისიის წევრებმა იმსჯელეს ზემოაღნიშნულზე.

პროექტის ირგვლივ შენიშვნები არ ყოფილა.

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის წევრთა (10) ხმით მიიღეს გადაწყვეტილება, საკითხი შევიდეს ბიუროს დღის წესრიგში განსახილველად.

დღის წესრიგის IX საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა, მერაბ უღრელიძემ, კომისიის წევრებს გააცნო საკითხი ,,არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის საბიბლიოთეკო გაერთიანება" ს 2024 წლის ხარჯების დამტკიცების შესახებ", სამტრედიის მუნიციაპლიტეტის საკრებულოს 2023 წლის 25 დეკემბრის Nგ.63-632335912 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ა.(ა).ი.პ. სამტრედიის მუნიციპალიტეტის საბიბლიოთეკო გაერთიანება ითხოვს 2023 წლის 25 დეკემბრის # გ-63.632335912 განკარგულებით დამტკიცებულ 2024 წლის ბიუჯეტში შიდა მუხლობრივ ცვლილებას, კერძოდ შრომის ანაზღაურების მუხლის შემცირებას 3.0 ათ.ლარით, შესაბამისად საქონელი და მომსახურების მუხლის გაზრდას 1.5 ათ.ლარით, არაფინანსური აქტივი 1.5 ათ.ლარით.

კომისიის წევრებმა იმსჯელეს ზემოაღნიშნულზე.

პროექტის ირგვლივ შენიშვნები არ ყოფილა.

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის წევრთა (10) ხმით მიიღეს გადაწყვეტილება, საკითხი შევიდეს ბიუროს დღის წესრიგში განსახილველად.

დღის წესრიგის X საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა, მერაბ უღრელიძემ, კომისიის წევრებს გააცნო საკითხი ,,არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, ,,საფრენბურთო კლუბი - ჯიკო“-ს 2024 წლის ხარჯების დამტკიცების შესახებ“, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 25 დეკემბრის Nგ.63-632335919 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ა.(ა).ი.პ. „საფრენბურთო კლუბი ჯიკო „ ითხოვს 2023 წლის 25 დეკემბრის # გ-632335919 განკარგულებით დამტკიცებულ 2024 წლის ბიუჯეტში მუხლობრივ ცვლილებას, კერძოდ საკუთარ შემოსავალში შემცირებას შრომის ანაზღაურების ხარჯის 7.9 ათ.ლარით, შესაბამისად საკუთარ შემოსავალში არაფინანსური აქტივში არასაცხოვრებელი შენობის ხარჯის გაზრდას 7.9 ათ.ლარით.

კომისიის წევრებმა იმსჯელეს ზემოაღნიშნულზე.

პროექტის ირგვლივ შენიშვნები არ ყოფილა.

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის წევრთა (10) ხმით მიიღეს გადაწყვეტილება, საკითხი შევიდეს ბიუროს დღის წესრიგში განსახილველად.

დღის წესრიგის XI საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა, მერაბ უღრელიძემ, კომისიის წევრებს გააცნო საკითხი ,,არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, ,, რაგბის კლუბი ფენიქსი“_ს 2024 წლის პროგრამისა და მისი განხორციელების ხარჯის დამტკიცების შესახებ“, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 25 დეკემბრის Nგ.63-632335923 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ სამტრედიის მუნიციპალიტეტის ა.(ა).ი.პ. „რაგბის კლუბი ფენიქსი“ ითხოვს 2023 წლის 25 დეკემბრის # გ-63.632335923 განკარგულებით დამტკიცებულ 2024 წლის სუბსიდიის გეგმის გაზრდას 5.5 ათ.ლარით და 2024 წლის შემოსავლების გეგმა განისაზღვროს 252,2 ათ.ლარით. აღნიშნული მატებით ითხოვს საქონელი მომსახურების გაზრდას 5.5ათ.ლარით. რეგიონალურ ლიგაში დიდების გუნდისა და ასევე საფესტივალო ასაკში მორაგბეების წარმატებულად ასპარეზობის გამო, დამატებით მოუწიათ თამაშებზე სიარული, რამაც გამოიწვია აღნიშნული ცვლილების განხორციელება.

კომისიის წევრებმა იმსჯელეს ზემოაღნიშნულზე.

პროექტის ირგვლივ შენიშვნები არ ყოფილა.

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის წევრთა (10) ხმით მიიღეს გადაწყვეტილება, საკითხი შევიდეს ბიუროს დღის წესრიგში განსახილველად.

დღის წესრიგის XII საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა, მერაბ ულრელიძემ, კომისიის წევრებს გააცნო საკითხი ,,არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, ,, ხელბურთელთა კლუბი სამტრედია“_ს 2024 წლის პროგრამისა და მისი განხორციელების ხარჯის დამტკიცების შესახებ“, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 25 დეკემბრის Nგ.63-632335921 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ა.(ა).ი.პ. „ სამტრედიის მუნიციპალიტეტის ხელბურთელთა კლუბი „სამტრედია“ ითხოვს 2023 წლის 25 დეკემბრის # გ-63.632335921 განკარგულებით დამტკიცებულ 2024 წლის საკუთარი შემოსავლის გეგმის გაზრდას 30.0 ათ.ლარით, შესაბამისად, ხარჯებში საქონელი და მომსახურების გაზრდას 30.0 ათ.ლარით.

ზემოთ აღნიშნული ცვლილება გამოწვეულია კაცთა სახელბურთო კლუბების ხელშეწყობის პროგრამის შესახებ #17 ხელშეკრულების შესაბამისად, რომელიც გაფორმდა ა.(ა).ი.პ. საქართველოს ხელბურთის ეროვნული ფედერაციისა და ა.(ა).ი.პ ხელბურთელთა კლუბი სამტრედიას შორის მ/წლის 7 აგვისტოს, რომლის თანახმადაც მოხდეს კლუბისათვის ეკიპირების შეძენა 10.0 ათ.ლარით, სასწავლ-საწვრთნელი შეკრების დაფინანსება 10.0 ათ.ლარით და სამივლინებო/ სატრანსპორტო ხარჯების ანაზღაურება ეროვნულ ჩემპიონატში მონაწილეობისათვის 10.0 ათ.ლარით. ასევე ითხოვს შიდა მუხლობრივ ცვლილებას, სუბსიდიის ხარჯების გეგმაში, კერძოდ საქონელი და მომსახურების მუხლის შემცირებას 0.10 ათ.ლარით და სხვა ხარჯის მუხლის 0.70 ათ.ლარით, შესაბამისად არაფინანსური აქტივის გაზრდას 0.80 ათ.ლარით, ადმინისტრაციული ოთახისათვის გამათბობელ-გამაგრილებელის შესაძენად.

კომისიის წევრებმა იმსჯელეს ზემოაღნიშნულზე.

პროექტის ირგვლივ შენიშვნები არ ყოფილა.

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის წევრთა (10) ხმით მიიღეს გადაწყვეტილება, საკითხი შევიდეს ბიუროს დღის წესრიგში განსახილველად.

დღის წესრიგის XIII საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა, მერაბ ულრელიძემ, კომისიის წევრებს გააცნო სამტრედიის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 25 დეკემბრის N23 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

ზემოაღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით განმარტება გააკეთა მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის საბიუჯეტო დაგეგმვისა და საფინანსო ზედამხედველობის განყოფილების უფროსმა - მედეა ლეჟავამ.

მედეა ლეჟავა - მოგახსენებთ, რომ **„სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების განხორციელების თაობაზე“** საქართველოს მთავრობის 2023 წლის 28 დეკემბრის N2400 განკარგულებაში შეტანილი 2024 წლის 5 აგვისტოს N1101 ცვლილების თანახმად სამტრედიის მუნიციპალიტეტს სტიქიური მოვლენების შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების განხორციელების მიზნით გამოყოფილი თანხის ოდენობა გაიზარდა 590.0 ათასი ლარით და განისაზღვრა სულ 2 375.0 ათასი ლარით, შესაბამისად გაიზარდოს **კოდი 02 01 გზების, ხიდების, ბოგირების და ინფრასტრუქტურის სხვა ღონისძიებების დაფინანსების** არაფინანსური აქტივების ზრდის გეგმა მთავრობით - 590.0 ათასი ლარით, გომის ადმინისტრაციული ერთეულის სოფელ კეთილაურში, საყრდენი კედლების მოწყობისა და ნაბაკებვის ადმინისტრაციული ერთეულში სოფელ ხუნჯულაურში წყალდიდობის შედეგად დაზიანებული საავტომობილო ხიდის მოწყობის სამუშაოებისთვის.

„მოქალაქეთა ჩართულობის განვითარების ხელშეწყობის“ ინიციატივის განხორციელების მიზნით გასატარებელი ღონისძიებების შესახებ საქართველოს

მთავრობის 2024 წლის 23 ივლისის N1025 განკარგულებით სამტრედიის მუნიციპალიტეტს გამოეყო თანხა 405.8 ათასი ლარის ოდენობით, ხოლო ადგილობრივი ბიუჯეტით თანადავიანსება - 140.0 ათასი ლარით, შესაბამისად გაიზარდოს:

- **02 01 კოდი გზების, ხიდების, ბოგირების და ინფრასტრუქტურის სხვა ღონისძიებების დაფინანსების** არაფინანსური აქტივების ზრდის გეგმა მთავრობით - 186.0 ათასი ლარით და ადგილობრივით - 64.0 ათასი ლარით;

- **02 03 03 კოდი სკვერების მოწყობა და კეთილმოწყობის სხვა ღონისძიებების** არაფინანსური აქტივების გეგმა მთავრობით - 137.7 ათასი ლარით და ადგილობრივით - 47.3 ათასი ლარი;

- **02 02 02 კოდი წყლის სისტემის რეაბილიტაცია და ექსპლოატაციის** საქონელი და მომსახურების გეგმა მთავრობით - 37.2 ათასი ლარით და ადგილობრივით 12.8 ათასი ლარით;

- **02 02 01 კოდი ბინათმშენებლობის** სხვა ხარჯების გეგმა მთავრობით - 37.2 ათასი ლარით და ადგილობრივით - 12.8 ათასი ლარით;

- **02 02 03 კოდი გარე განათების რეაბილიტაცია და ექსპლოატაციის** საქონელი და მომსახურების გეგმა მთავრობით - 7.7 ათასი ლარი და ადგილობრივით - 3.1 ათასი ლარით;

შემცირდეს - 140.0 ათასი ლარით:

- **02 02 02 კოდი წყლის სისტემის რეაბილიტაცია და ექსპლოატაციის** არაფინანსური აქტივების ზრდის გეგმა - 23.0 ათასი ლარით და საქონელი და მომსახურების გეგმა 5.0 ათასი ლარით;

- **02 05 კოდი სოფლის მეურნეობის** განვითარების არაფინანსური აქტივების ზრდის გეგმა - 10.0 ათასი ლარით და საქონელი და მომსახურების გეგმა 31.5 ათასი ლარით;

- **01 02 01 კოდი სარეზერვო ფონდის** სხვა ხარჯების გეგმა შემცირდეს - 50.0 ათასი ლარით;

- **02 01 კოდი გზების, ხიდების, ბოგირების და ინფრასტრუქტურის სხვა ღონისძიებების დაფინანსების** არაფინანსური აქტივების ზრდის გეგმა - 20.5 ათასი ლარით;

„საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან მუნიციპალიტეტებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2023 წლის 28 დეკემბრის N2402 განკარგულებიაში შეტანილი 2024 წლის 14 აგვისტოს N1146 ცვლილების თანახმად სამტრედიის მუნიციპალიტეტისათვის პროექტის მთლიანი ღირებულების ფარგლებში მიმდინარე წელს ასანაზღაურებელი თანხები გაიზარდა 1,902.0 ათასი ლარით და განესაზღვრა 9,154.2 ათასი ლარის ოდენობით, მათ შორის პროექტის განხორციელებისთვის გამოყოფილი თანხა მთავრობით გაიზარდა 1,481.9 ათასი ლარით და შეადგენს - 8,228.9 ათას ლარს , ხოლო ადგილობრივი ბიუჯეტით თანადაფინანსება გაიზარდა 420.0 ათასი ლარით შეადგენს - 925.3 ათას ლარს. შესაბამისად, შემცირდეს 02 03 03 კოდი **სკვერების მოწყობა და კეთილმოწყობის სხვა ღონისძიებების** არაფინანსური აქტივების გეგმა - 0.7 ათასი ლარით და გაიზარდოს **კოდი 02 01 გზების, ხიდების, ბოგირების და ინფრასტრუქტურის სხვა ღონისძიებების დაფინანსების** არაფინანსური აქტივების ზრდის გეგმა მთავრობით - 1,482.6 ათასი ლარით, ხოლო ადგილობრივი ბიუჯეტით თანადაფინანსება - 420.0 ათასი ლარით; აღნიშნული გეგმის მოწესრიგებისათვის **შესრულების ანალიზიდან გამომდინარე შესაძლებელია გაიზარდოს ადგილობრივი შემოსულობების რიგი სახეები სულ 383.9 ათასი ლარით, ხოლო საჭირო 36.1 ათასი ლარი მოწესრიგდეს გზების ადგილობრივი ბიუჯეტით არსებული რესურსის ფარგლებში) კერძოდ:**

- მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის - 50.0 ათასი ლარით;

- მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის - 106.0 ათასი ლარით;

- სანებართვო მოსაკრებელი - 10.0 ათასი ლარით;

- შემოსავლები მომსახურების გაწევიდან - 10.0 ათასი ლარით;

- სანქციები (ჯარიმები და საურავები) - 100.0 ათასი ლარით;

- არაფინანსური აქტივების კლების გეგმა - 107.9 ათასი ლარით;

ასევე, შემცირდეს სულ - 356.7 ათასი ლარით:

- **01 01 02 კოდი სამტრედიის მერიის** არაფინანსური აქტივების გეგმა - 45.0 ათასი ლარით, სხვა ხარჯების გეგმა - 11.7 ათასი ლარით და შრომის ანაზღაურების გეგმა - 7.0 ათასი ლარით, (სულ 63.7 ათასი ლარით).

- **06 01 01 კოდი ააიპ საზოგადოებრივი ჯანდაცვის სამტრედიის ცენტრის** არაფინანსური აქტივების ზრდის გეგმა შემცირდეს 59.3 ათასი ლარით და სუბსიდიის გეგმა - 0.7 ათასი ლარით (სულ - 60.0 ათასი ლარით);

- **05 05 02 კოდი კულტურის, ძეგლთა დაცვისა და ტურიზმის ღონისძიებების დაფინანსების** საქონელი და მომსახურების გეგმა შემცირდეს 6.0 ათასი ლარით;

- **02 01 კოდი გზების, ხიდების, ბოგირების და ინფრასტრუქტურის სხვა ღონისძიებების დაფინანსების** გრანტების გეგმა 8.0 ათასი ლარით;

- **02 02 01 კოდი ბინათმშენებლობის** სხვა ხარჯების გეგმა - 60.0 ათასი ლარით;

- **05 01 01 კოდი სპორტული ღონისძიებების დაფინანსება და სპორტული მოედნების მშენებლობა და რეკონსტრუქციის** არაფინანსური აქტივების გეგმა - 79.0 ათასი ლარით;

- **01 01 01 კოდი სამტრედიის საკრებულოს** საქონელი და მომსახურების გეგმა - 12.0 ათასი ლარით;

- **01 02 04 კოდი კადრების მომზადება-გადამზადებასთან, კვალიფიკაციის ამაღლებასა და სტაჟირებასთან დაკავშირებული** ხარჯის საქონელი და მომსახურების გეგმა - 20.0 ათასი ლარით;

- **01 02 01 კოდი სარეზერვო ფონდის** სხვა ხარჯების გეგმა - 15.0 ათასი ლარით;

- **03 01 კოდი ა(ა)იპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის კომუნალური გაერთიანების** სუბსიდიის გეგმა - 19.0 ათასი ლარით;

- **02 03 03 კოდი სკვერების მოწყობა და კეთილმოწყობის სხვა ღონისძიებების** არაფინანსური აქტივების გეგმა - 14.0 ათასი ლარით;

შესაბამისად გაიზარდოს და მოწესრიგდეს სულ - 356.7 ათასი ლარით:

- **02 01 კოდი გზების, ხიდების, ბოგირების და ინფრასტრუქტურის სხვა ღონისძიებების დაფინანსების** სხვა ხარჯების გეგმა - 50.3 ათასი ლარით;

- **06 01 02 კოდი საზოგადოებრივი ჯანდაცვის სამტრედიის ცენტრის მშენებლობა-რეაბილიტაციის** არაფინანსური აქტივების ზრდის გეგმა 60.0 ათასი ლარით ;(მიზნობრივი ტრანსფერი)

- **03 02 კოდი ა(ა)იპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის გამწვანებისა და კეთილმოწყობის გაერთიანების** სუბსიდიის გეგმა - 24.5 ათასი ლარით;

- **05 01 02 06 კოდი ააიპ რაგბის კლუბი "ფენიქსი"-ს** სუბსიდიის გეგმა - 5.5 ათასი ლარით;

- **04 03 კოდი ააიპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის** სუბსიდიის გეგმა - 8.0 ათასი ლარით;

- **05 02 01 02 კოდი ააიპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის N2 სამუსიკო სკოლის** სუბსიდიის გეგმა - 2.9 ათასი ლარით და არაფინანსური აქტივების გეგმა - 1.9 ათასი ლარით (სულ - 4.8 ათასი ლარით);

- **01 01 02 კოდი სამტრედიის მერიის** საქონელი და მომსახურების გეგმა - 9.4 ათასი ლარით;

- **02 03 03 კოდი სკვერების მოწყობა და კეთილმოწყობის სხვა ღონისძიებების** არაფინანსური აქტივების გეგმა - 130.0 ათასი ლარით; (სერგეთის მინდვრის შემოღობვის სამუშაოები)

- **02 01 კოდი გზების, ხიდების, ბოგირების და ინფრასტრუქტურის სხვა ღონისძიებების დაფინანსების** არაფინანსური აქტივების ზრდის გეგმა - 64.2 ათასი ლარით;

-

მუხლობრივი ცვლილებები:

- **05 05 02 კოდი კულტურის,ძეგლთა დაცვისა და ტურიზმის ღონისძიებების დაფინანსების** საქონელი და მომსახურების გეგმა შემცირდეს 0.5 ათასი ლარით და შესაბამისად გაიზარდოს ამავე კოდის არაფინანსური აქტივების გეგმა.

- **05 02 04 კოდი ააიპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის საბიბლიოთეკო გაერთიანების** სუბსიდიის გეგმა შემცირდეს 1.5 ათასი ლარით და შესაბამისად გაიზარდოს ამავე კოდის არაფინანსური აქტივების ზრდის გეგმა.

- **02 01 კოდი გზების, ხიდების, ბოგირების და ინფრასტრუქტურის სხვა ღონისძიებების დაფინანსების** არაფინანსური აქტივების ზრდის გეგმა შემცირდეს 55.0 ათასი ლარით (50.0 ორმული შეკეთება და 5.0 მემოგრანდუმი) და შესაბამისად გაიზარდოს ამავე კოდის საქონელი და მომსახურების გეგმა.

- **05 02 01 07 კოდი ააიპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის სამხატვრო სკოლა-გალერეას** სუბსიდიის გეგმა შემცირდეს 2.8 ათასი ლარით და შესაბამისად გაიზარდოს ამავე კოდის არაფინანსური აქტივების ზრდის გეგმა.

- შემოსავლების გეგმიდან არაწარმოებული აქტივების გეგმა შემცირდეს 255.0 ათასი ლარით და შესაბამისად გაიზარდოს არაფინანსური აქტივების კლების ძირითადი აქტივების გეგმა.

- **01 01 01 კოდი სამტრედიის საკრებულოს** საქონელი და მომსახურების გეგმა შემცირდეს 7.0 ათასი ლარით და შესაბამისად გაიზარდოს ამავე კოდის სოციალური უზრუნველყოფის გეგმა.

- **05 01 02 04 კოდი ააიპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის ხელბურთელთა კლუბი "სამტრედია"-ს** სუბსიდიის გეგმა შემცირდეს 0.8 ათასი ლარით და შესაბამისად გაიზარდოს ამავე კოდის არაფინანსური აქტივების ზრდის გეგმა.

- **02 01 კოდი გზების, ხიდების, ბოგირების და ინფრასტრუქტურის სხვა ღონისძიებების დაფინანსების** არაფინანსური აქტივების ზრდის გეგმა - 8.0 ათასი ლარით და შესაბამისად გაიზარდოს 02 03 03 კოდი სკვერების მოწყობა და კეთილმოწყობის სხვა ღონისძიებების არაფინანსური აქტივების გეგმა - 8.0 ათასი ლარით (კაპიტალური გრანტით)

კომისიის წევრებმა იმსჯელეს ზემოაღნიშნულზე.

პროექტის ირგვლივ შენიშვნები არ ყოფილა.

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის წევრთა (10) ხმით მიიღეს გადაწყვეტილება, საკითხი შევიდეს ბიუროს დღის წესრიგში განსახილველად.

ამით დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხები ამოწურულია.

სხდომის მდივანი: / ნათია დოლიძე/

მერაბ უღრელიძე

სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს საფინანსო- საბიუჯეტო საკითხთა
კომისია-საკრებულოს საფინანსო- საბიუჯეტო
საკითხთა კომისიის თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი